

მსოფლიო ბანკის ჯგუფი განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ფარგლებში

საქართველოს მნიშვნელოვან რეფორმებს ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის შემცირება მოჰყვება

ვაშინგტონი, 22 მაისი, 2018 – მსოფლიო ბანკის ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დღეს 2019-22 წწ პერიოდისთვის საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია დაამტკიცა, რომლის მიზანია მდგრადი და ინკლუზიური ზრდის და ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლების მხარდაჭერა.

ქვეყანასთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ მთავრობის ხედვასთან, რომლის საფუძველია „საქართველო 2020“ პროგრამა. ეს პროგრამა ხაზს უსვამს თავისუფლებას, სწრაფ განვითარებას და კეთილდღეობას დარგობრივი პოლიტიკის ოთხი მიზნის საშუალებით, როგორცაა ეკონომიკური რეფორმა, განათლების რეფორმა, სივრცითი მოწყობა და ინფრასტრუქტურა, და მმართველობა. მთავრობის მხარდასაჭერად ორი ურთიერთდაკავშირებული მიზნის განხორციელებისას, რომელიც გახლავთ უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა, ის ითვალისწინებს საქართველოს დახმარებას სამი მიმართულებით, და ესენია: ინკლუზიური ზრდის და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება, და მდგრადობის უზრუნველყოფა.

„ჩვენი დიდი სურვილია ვიხილოთ ისეთი ადამიანური კაპიტალით აღჭურვილი საქართველო, რომელიც მოსახლეობას სიღარიბიდან გამოიყვანს, აამაღლებს მათი კეთილდღეობის დონეს და გაზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და მდგრადობას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში,“ განაცხადა **მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემზონმა**. “მსურს დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას პრიორიტეტების გამოყოფის მიზნით გამართული სტრატეგიული დისკუსიების დროს გამოჩენილი აქტიურობისა და სიმტკიცისათვის. ასევე მადლიერებას გამოვხატავ კერძო სექტორის, აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების და განვითარების მიმართულებით მომუშავე სხვა პარტნიორების მიმართ, ჩვენთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობისთვის.“

პროგრამის განხორციელებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მსოფლიო ბანკის ინსტიტუტების, კერძოდ, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) ძლიერი მხარეების გამოყენება, ისევე როგორც განვითარების მიმართულებით მომუშავე სხვა პარტნიორების თანამშრომლობა და მოქალაქეთა ჩართულობა.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) გააგრძელებს საქართველოში საქმიანობას კერძო სექტორის განვითარებაზე ყურადღების გამახვილებით. IFC-ი დახმარებას გაუწევს საფინანსო სექტორს და ხელს შეუწყობს სუფთა ენერჯის მდგრად განვითარებას. ის უფრო მეტად მიანიჭებს პრიორიტეტს სამუშაო ადგილების შექმნის მაღალი პოტენციალის მქონე, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების გაფართოების კენ მიმართულ საქმიანობას. კერძოდ, აგრობიზნესის და ტურიზმის განვითარებას. ის ასევე

შეისწავლის შესაძლებლობებს ახალ სფეროებში, როგორებიცაა ურბანული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის და პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით.

IFC-ის საკონსულტაციო საქმიანობა დარჩება საქართველოში მისი პროგრამის შემადგენელი ნაწილი და ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული დასკვნითი რეფორმების განხორციელებას, კონკურენტუნარიანი დარგების განვითარების მხარდაჭერას და საფინანსო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას ნაკლები ყურადღების ქვეშ მყოფი სეგმენტების, მაგალითად მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად.

“ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა რეფორმებმა საქართველოს „ვარსკვლავური რეფორმატორის“ რეპუტაცია მოუტანა. თუმცა გამოწვევები კვლავაც რჩება და ჩვენი ახალი სტრატეგია მიზნად ისახავს ქვეყნის დახმარებას კერძო სექტორის პოტენციალის ათვისებაში, იმისათვის რომ წამყვანი რეფორმატორი წარმატებული შემსრულებელი გახდეს. IFC-ის ინვესტიციის და საკონსულტაციო საქმიანობის საშუალებით ჩვენ მიზნად ვისახავთ ქვეყნის აგრობიზნესის ნაყოფიერების ამაღლებას და ახალ ბაზრებზე დამკვიდრების ხელშეწყობას, კვშირების გაუმჯობესებას, და საწარმოებისთვის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროების მოძიებას,“ აღნიშნა **IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში იან ვან ბილსენმა.**

2014 -2017 წლის ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგიის მიერ მომზადებულ ძლიერ საფუძველზე დაყრდნობით ახალი სტრატეგია გააერთიანებს მიღწეულ შედეგებს და ეკონომიკას წარმართავს მომდევნო თაობის განვითარების ახალ გამოწვევებზე რეაგირების მიმართულებით, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად და სიღარიბის დასაძლევად. ამისათვის, მსოფლიო ბანკის ჯგუფი საქართველოს გამოუყოფს 600-800 მილიონ დოლარამდე 2019-2022 წლებისთვის.

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონი: მერიემ გრეი (202) 473-7870 – mgray@worldbank.org
თბილისი: ინგა პაიჩაძე (99532) 291-3096 – ipaichadze@worldbank.org
თამარ ბარბაქაძე (995 32) 234 0300 – tbarbakadze@ifc.org

ვებგვერდი: <http://www.worldbank.org.ge>
<http://ifc.org>

Facebook: <http://www.facebook.com/worldbank>

Twitter: <http://www.twitter.com/worldbank>

YouTube: <http://www.youtube.com/worldbank>